საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთის ნეოლითი

მთის ნეოლითი, ადრე ნეოლითური ხანის, ძვ. წ. VIII_VII ათასწლეულის ზონალური არქეოლოგიური კულტურა. მისი ერთ-ერთი საკვანძო ძეგლია პალურის მრავალფენიანი ნამოსახლარის V ფენა (გაითხარა 1969-70, ხელმძღვ. გ. გრიგოლია), რ-ის თავისებური მასალების პარალელების საფუძველზე გათხრების ავტორმა კავკასიის მთისა და ბარის მეზოლით-ადრენეოლითური ძეგლებიდან ზონალური პრინციპით გამოყო მ. ნ-ის კულტურა, რ-ის პირობით საზღვრად ჯერჯერობით ცენტრ. და დას. კავკასიონის ორივე კალთა რჩება.

კავკასიაში 1,8-1,7 მლნ. წლიდან მოყოლებული ქვისა და მომდევნო ხანების მღვიმური თუ ღია სადგომ-ნამოსახლარის ყველა ძეგლია აღმოჩენილი, განსაკუთრებით კი ნეოლითური სადგომ-ნამოსახლარები. ამ ძეგლებზე მოპოვებული არქეოლ. მასალების ანალიზის მიხედვით მკვლევრებმა გამოყვეს არქეოლ. კულტურები, შეადგინეს შედარებითი ქრონოლოგია, რ-ებსაც C14 მეთოდით მიღებული აბსოლუტური თარიღები აზუსტებს. კავკასიის სხვადასხვა რეგიონიდან გამოირჩევა დას. კავკასია, სადაც შესწავლილია მრავალფენიანი მღვიმური შუა პალეოლითისა და მომდევნო ხანების, მ. შ. ნეოლითური ფენის შემცველი სადგომები. ისინი ნეოლითურ ღია ნამოსახლარებთან ერთად გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი საზ-ბის კულტ.-სამეურნეო მიღწევებზე. სადღეისოდ კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში, შედარებითი ტიპოლოგიური და C14 მეთოდით მიღებული რადიოკარბონული თარიღებით გამოყოფილია ძვ. წ. VIII-VI ათასწლ. როგორც მეზოლითიდან (შუა ქვის ხანა) ადრე ნეოლითზე გარდამავალი (კვირიკე, ჩოლოქი, ჯიხანჯური, ხუცუბანი, ქობულეთი), ისე ადრე ნეოლითური (ანასეული I, მელოური, ხორში, პალური, ლებიქვი, ბეშუმი და ლიახვის ხეობის მთიანეთი და მთისწინეთი) და მეზოლით-ადრე ნეოლითური (ფიჩიჯინი და ნაგუთნი) ჯგუფის ძეგლები. ასევე გვიან ნეოლითური (ოდიში, ანასეული II, მახვილაური და სამხრ.-აღმ. კავკასიაში „შომუ თეფე-შულავერის კულტურა“) გორანამოსახლარები.

პალური (წალენჯიხის მუნიციპ., ჯვარიდან 15 კმ.) მდ. ენგურის მარცხ. ნაპირზე, ჭალისპირა ბორცვებიან ზონაში მდებარეობს, რ-იც ჟირ სუკის (ორგორას) სახელითაა ცნობილი. 15-20 სმ სისქის კულტურულ ფენაში, 140 *მ*² გათხრილ ფართობზე გამოვლინდა 13 სამეურნეო ორმო და 1,2-1,3 *მ* სიგრძის, 70-80 *სმ* სიგანისა და 20-30 *სმ*-ით ჩაღრმავებული 8 ოვალური კერა. ასეთი ორმოები აღმოჩენილია ენწერის III, ჭახათის მეზოლითურ და ჩხორთოლის ნეოლითურ ფენებში, რ-ებიც მიჩნეულია სამზარეულო ორმოებად. საინტერესოა, რომ ჭახათის მეზოლითურ, ჩრდ. კავკასიის (გუბი, სოსრუყო და სხვ.) და ყირიმის (შან-ყობა, ფატმან-ყობა, მურზაკ-ყობა და სხვ.) გვიან ზედაპალეოლითურ და მეზოლითურ სამზარეულო ორმოების ნაცროვანი შევსების ზედა ნაწილში ეყარა ნიჟარა Hელიხ-ის გროვები, რ-ებსაც შესაძლოა საკვებად და სამკაულებად იყენებდნენ. პალურში ასევე საყურადღებოა ოთხკუთხა ფაცხისებრი ნაგებობის სვეტის ბუდეები.

არქეოლ. მასალებიდან კულტ. ფენაში აღმოჩნდა კაჟის გულგულები, იარაღ-ნამზადები და ადრე ნეოლითისთვის დამახასიათებელი მასიური ქვის იარაღები. კაჟის ნატკეცი მასალებიდან (3057 ცალი) 18,2% მზა იარაღს წარმოადგენს, დანარჩენი 81,8% - ნამზადსა და ნარჩენს. მასიური ქვის იარაღი სულ 96 ერთეულია. კაჟის ამორფული გულგულებიდან გვხვდება პრიზმული, კონუსური, ბრტყელი და ბირთვისებრი ფორმები, რ-ებსაც დარტყმითი სიბრტყეების ნაირგვარობა ეტყობა. ბრტყელი გულგულები ძირითადი ფორმაა, რ-იც კავკასიაში პალეოლითის დასასრულისა და მეზოლითის დასაწყისიდან ჩანს და ტიპურია ადრე ნეოლითური ძეგლებისათვის. პალურის მასალებში ანატკეცებზე დამზადებული იარაღები (869 ცალი) 11-ჯერ აღემატება ლამელარულს (81). დანარჩენი ანამტვრევი (301 ცალი) და მცირე ზომის ქერცლისებრი ანატკეცია (1181 ცალი). იარაღებიდან ძირითადად წამყვანია ანატკეც-ანამტვრევებზე დამზადებული შუალა, კიდურა და თავრეტუშირებული საჭრისები (104 ცალი). 193 ერთეული ზურგიანი დანიდან 173-ს სამუშაო პირი გამოყენების შედეგად აქვს ჩამოყალიბებული. ასევე წამყვანი იარაღია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ანატკეცებზე დამზადებული გვერდამოღარული, სწორპირა და მორკალური გვერდრეტუშირებული საფხეკი (100 ცალი), ხოლო ბოლორეტუშიანი საფხეკების ნაკლებობა პალურის ერთ-ერთი თავისებურებაა. მცირე რაოდენობით გვხვდება მრგვალი და ირგვლივ რეტუშიანი საფხეკები და პირდაკბილული იარაღები. სახვრეტებიდან წარმოდგენილია ბურღისებრი, რეტუშიანი და ურეტუშო სახვრეტები და წვეტანისებრი სამკუთხა იარაღები. პალურის კულტურული რაობის გააზრებისას საყურადღებოა იარაღთა ერთი სახეობა - „ანკესისებრი“ ან „ლეკალოს“ სახელით ცნობილი იარაღები ციცაბო რეტუშით, ნამგალივით მოხრილი ერთი ან ორი უგრძესი გვერდით და ბოლოში ან (უფრო იშვიათად) შუაში ანკესისებრი ერთი-ორი შვერილით (35 ცალი). მცირე რაოდენობით წარმოდგენილი იარაღებიდან აღსანიშნავია სეგმენტები (4 ცალი), ტრაპეცია (1 ცალი), სამკუთხა იარაღი (1 ცალი), ნახევრადწრიული (3 ცალი) და ორპირა მიკროსაფხეკი (2 ცალი), საჩეხი (2 ცალი). მცირე რაოდენობით აღმოჩენილი სხვა ფორმის ნატკეცი იარაღებიდან განირჩევა თავირიბრეტუშირებული (2 ცალი), ზურგდაბლაგული (3 ცალი) და გვერდრეტუშირებული (3 ცალი) ლამელები.

პალურის V ფენის ადრე ნეოლითურ მასალათა მეორე რიგია მასიური რიყის ქვის იარაღები (96 ცალი). მათგან რაოდენობით სხვებზე მეტია ოვალური ან მომრგვალო ფორმის სახეხები, რ-ებსაც თავ-ბოლო ხმარებისგან აქვთ გადალესილი. იარაღთა სხვა ტიპებიდან გვხვდება ბრტყელზედაპირიანი საფქვავები (9 ცალი) და მათი ზედა ნაწილი - მრგვალგანივკვეთიანი სასრესები (5 ცალი), 2 ფოსოიანი როდინი და 7 მოგრძო ფორმის საბეგვ-სანაყი. სხვა იარაღებიდან აღსანიშნავია მცირე ზომის მოგრძო ქვის 4 რეტუშორი, 4 საჩეხი იარაღი, 4 დანა, 3 მიწის სათხრელი მახვილწვერიანი სათიხარი, 1 ძვლისა და ხის იარაღების ღარებიანი სახეხ-საპრიალებელი, 17 შურდულის ქვა და 4 შუაში ამოჩორკნილ-ამოღარული თევზსაჭერი საწაფი. ადრე ნეოლითური სხვა ძეგლების მსგავსად პალურის V ფენა არ შეიცავს თიხის ჭურჭლის ნატეხებს. პალური მდ. ენგურთან ხელსაყრელი მდებარეობის გამო მიჩნეულია მეთევზეთა სეზონურ სადგომად.

ნატკეცი იარაღების ზოგადი აღწერიდან ჩანს, რომ პალურში ანატკეცებზე დამზადებული იარაღების ტრადიცია გრძელდება. პირველადი და მეორეული დამუშავების ტექნიკითა და იარაღთა ტიპების მიხედვით პალურის V ფენა დგას ისეთი ძეგლების გვერდით, როგორიცაა მდ. ლიახვის აუზის მთიანეთსა და მთისწინეთის მეზოლითური პიჩიჯინი, ჯერმუხი, სელო, ძაღინა, წიფლეთი და ნეოლითური ნაგუთნი I-II, ზურა-ახო, ჯიჯოეთი; დას. კავკასიაში კი მდ. ბაქსანის ხეობაში შესწავლილი სოსრუყოს მღვიმის 1 ზედა პალეოლითური და 7 მეზოლითური ფენა, რ-თაგან M-W ფენა იარაღთა დამუშავებითა და შემადგენლობით, ასევე, განსაკუთრებით, „ანკესისებრი“ თუ „ლეკალოსებრი“ იარაღების შემადგენლობით, პიჩიჯინი-ნაგუთნის ტიპის ძეგლებთან ერთად უახლოვდება პალურის მასალებს. ამასთანავე, სვანეთსა და გოდერძის უღელტეხილზე (აჭარა) ზ. დ. 1700-1800 *მ.* სიმაღლეზე შესწავლილია პალურის მსგავსი მასალების შემცველი ლებიქვისა და ბეშუმის სადგომები, რ-თაც ემატება ცაგერში, სოფ. ნაკურალეშის ადგილ ძეგვნარისა და ჭიათურაში (ზემო იმერეთი), სოფ. ბურღნარში დაახლ. ამავე სიმაღლეზე აღმოჩენილი მცირერიცხოვანი მასალები.

ტერმინი „მთის ნეოლითი“ საერთაშ. არქეოლ. სამეცნ. ლიტ-რაში ჯერჯერობით არ არის აღიარებული, მაგრამ არც უარყოფილია.

ლიტ.: გრიგოლია გ., ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი პალური, თბ., 1977.

გ. ჩიქოვანი